საქართველოს ეროვნულ დემოკრატიული პარტია. ფასი 2 მანეთი

შაბათი, 15 ნოემბერი 1919 წ. № 202.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერვნი ეროვნნ

რედაქცია

ხელნაწერთა მახალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში ადნიშნული უნდა იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი, დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია არ ინახავს. ინახება მხოლოდ დიდი მოთხრობები.

რედაქცია ღიაა: დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

კანტორა

გაზეთის ფასი: ერთი თვით 50 მან. 3 თვით 150 მ. **განცხადების ფასი:** ხტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 2 მ. უკანასკნელზე 1 მ. 50 კ. ქალაქ გარეთ მიღებული განცხადება ღირს ერთი ოქროდ. **ხანგლეოვანი განცხადება:** ხაშუალო ზომისა თითოჯერ არა უმეტეს სამი განცხადებისა 50 მ., 12 საათის შემდეგ 70 მ.

კანტორა ღიაა: დილის 8—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

მისამართი: ქუთაისი, თფილისის ქ., ფიჩხაძის სახლი. **ფოსტის ადრესი:** ქუთაისი ფოსტის ყუთი № 80.

ღრმათ დამწუხრებულნი ამხანაგები პირველი გიმნაზიისა 8 კლასის მოსწავლენი ამით აუწყებენ ამხანაგებს, ნათესავებს და ნაცნობებს, რომ 15 ნოემბერს დღით შაბათს სოფ. სიქთარვის ფერიცვალების ეკლესიაზე იქნება წლის წირვა და პანაშვიდი

ნეკტარი ლავრენტის ძის ეიფშიძის

სულის მოსახსენებლათ. 1—1—(უფ.)

13 ამა ნოემბერს, დილის 10 საათზე, გადაიცვალა ქ ქუთაისში ხანგრძლივი ავათმყოფობის შემდეგ

დავით ნიკოლოზის ძე აბდუშელიშვილი,

რასაც უღრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართა და ნაცნობთ მეუღლე გადაცვალებულისა ეკატერინე თეიმურაზის ასული აბდუშელიშვილისა, ქალიშვილები ანასტასია ვირსალაძისა, თამარა დემიდოვისა, ნინა მამრაძისა და ელისაბედ (ფუცა) აბდუშელიშვილი და სიძეები სპირიდონ სვიმონის ძე ვირსალაძე, ვასილ ალექსანდრეს ძე დემიდოვი და პეტრე გრიგოლის ძე მამრაძე. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს ხუთ საათზე, საკუთარ სახლში, რესპუბლიკის (ოლდენბურგის) ქუჩაზე. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. 3—1

ღრმათ დამწუხრებულნი და ქსენია დიმიტრის ასული ძმითა და დებით, ბიძა პროკოფი ალმასხანის ძე მესხი ცოლშვილით, ბებია ალათი მიქელაძისა ასული მეძმარიაშვილისა, აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ძვირფასი და დაუვიწყარის წმინდა ნინოს გიმნაზიის მესამე კლასის მოწაფის

ელეონორა (ნორა) დიმიტრი მესხის

ასულის გარდაცვალებას. რომლის გამოსვენება მოხდება კვირას 16 ნოემბერს დილის ცხრა საათზე 3 მე ალექსანდ. ქუჩა ვალოდია თურმანიძის სახლიდან სოფელ საყულიას. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 5 საათზე.

თავისუფალი ხელოვანი, რომელმაც დაამთავრა პეტერბურგის კონსერვატორია

პროფესორ კუსკოვოს—სტანისლავსკის ხელმძღვანელობით, აძლევს მუსიკის (როიალზე) გაკვეთილებს.

მისამართი: ბაღის ქუჩა სახლი მესროპოვისა **ნაკაშიძე.**

5—2

მწუხარებასა შინა მყოფნი: ანდიფო ივანეს ასული მელაშვილისა, ასულნი: ოლია ბურჯანაძისა, მარუსია, ლიუდია და გოგუცა, დედა სოფიო იესეს ასული, ძმები: ბესარიონ, სიმონ, ბეგლარ, კონსტანტინე, ასლან და ვლადიმერ, რძლები: მარიამ, ეფროსინე, ოლღა, ნინა, მარუსია და ლიდა მელაშვილები, სიძე: კაპიტონ კონსტანტინეს ძე ბურჯანაძე, გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა, რომ შემდეგ ხანგრძლივი ავათმყოფობისა გარდაიცვალა პირველის მეუღლე, მეოთხეს მამა, მესამეს შვილი, მეოთხენის ძმა, მეხუთენის მამლი და მეექვსეს სიმამრი

ერმინე ოქროპირის ძე მელაშვილი

რომლის დაკრძალვა მოხდება 15 ამა ნოემბერს (ახალი სტილით) დღით შაბათს სოფელ ობჩაში, უმორჩილესად გთხოვენ რათა მობრძანდეთ დანიშნულ დღეს და ანუგეშოთ ჰირისუფალი გარდაცვალებულისა. 2—1

განცხადება.

ქუთაისის საურთიერთო ნდობის საზოგადოების გამგეობა ამით აცხადებს, რომ

18 ნოემბერს 1919 წ. დღით 12 საათზე გამგეობის სადგომში

საჯაროდ გაიყიდება

სხვა და სხვა სარგებლიანი ქაღალდები ქვემო აღნიშნული ვადა გადაცილებულ გირაოებისა: №№ 9440, 9107, 9622, 9656, 9674, 9688, 9727, 9732, 9760, 9761, 9770, 9772 4775, 9780, 9782, 9801, 6822, 9839, 9844, 9845, 9815, 9848, 9846, 9850, 9852, 9853, 9854, 9872, 9873. 152, 106, 87, 459, 490, 480, 478, 476, 462, 469 491.

3—3

პოზიცია თუ ოპოზიცია.

ვკითხულობ მმართველი პაარტიის გაზეთს—„ერთობას"—და გაოცებული ვარ.

გეგონება, პოზიცია გაზ. „საქართველოს" უპირავს და ოპოზიცია, რომელსაც ამ პოზიციის აღება სწადია, „ერთობასო".

საკვირველია სწორეთ! როგორ შეიძლება ერთსადაიმავე დროს პოზიციაზედაც იდგე და ოპოზიციურ ბრძოლასაც აწარმოებდე?!

მექანიკაში ასეთი კანონია: მარტო შინაგანი ძალების მოქმედებისაგან სხეული არ მოძრაობს.

ამისთვის გარეგანი ძალის ზემოქმედებაა საჭირო.

ამგვარადვე, როცა ოპოზიცია არა გყავს და პოზიციას არავინ გედავება, სიფხიზლე ალარ გჭირდება.

„ერთობა" ოპოზიციას ვერ ითმენს, ოპოზიციის მხილებისაგან საშინლად გამწარდება ხოლმე და მოითხოვს: რომ ვსთქვა, „მუხას ვაშლი ასხიაო, უნდა დაშეოწმონო".

ამგვარ მდგომარეობაში, რასაკვირველია, თავისუფალი აზრი მოკვდება!

და პოლიტიკური სიკვდილი გამეფდება!

დიაღ! მარტო შინაურ ძალთა მოქმედება, მარტო ერთი მიმართულების პოლიტიკის წარმოება, ცალმხრივი აზროვნება—აზრს არარად გადააქცევს.

თანახმა ვართ, მთავრობამ აჯანყებულთა წინააღმდეგ ფიცხელი და სასტიკი ზომები უნდა იხმაროს. თვინიერ ამისა სახელმწიფო ვერ აშენდება.

იმავე დროს პატივი უნდა სცენ თავისუფალ აზრს. და პრესის წინააღმდეგი რეპრესიები, როცა პრესა კანონიერების, უფლების საზღვარს არა სცილდება, მომაკვდინებელია.

დიაღ! „ერთობამ“ და მმართველმა პარტიამ უნდა აღიარონ, რომ პოზიციაზე დგანან და მაშასადამე ოპოზიციური გაწიწმატება არ შეშვენისთ.

უნდა იცოდენ: თუ ოპოზიციას მეტის პატივისცემით არ მოეპყრობიან, არა თუ საზოგადო, არამედ მათი საქმეც კი წახდება.

ნესტარი.

გართულდა მომენტი.

პოლიტიკური მდგომარეობა მეტათ გართულდა; გახშირდა ბოლშევიკების გამოსვლა.

საქართველოს კეთილდღეობას მტრები ხიფათს უმზადებენ. ჩვენი თავისუფლების და დამოუკიდებლობის მტრები შეჯგუფდენ და უკიდურეს ზომებს ხმაროობენ; რომ ჩვენი მთავრობაც დაამარცხონ და მთელი ქვეყანა გაანადგურონ.

რა ნიადაგი აქვს ჩვენში ბოლშევიზმს? საქართველოში ბოლშევიზმი არ არის და ვერც ფეხს მოიკიდებს, თუ უეცარი გარემოება ხელსარ შეუწყობს.

იქა აქ შეიძლება იყოს ჩვენში რწმენით ბოლშევიკი, მაგრამ ასეთი მოვლენა საზოგადო ცხოვრების მიმდინარეობას კვალს ვერ დააჩენს და მათი თეორეტიული „მოღვაწეობა“ სტიქიურ ძალას ვერ შექმნის, თუ სხვა მიზეზით გამოწვეულმა გარემოებამ მათ ხელი არ შეუწყო.

ჩვენში არიან გაბოლშევიკებული ჯარის-კაცები, მუშები; ესენი არიან უცხოეთის ჰაერით მოწამლული პირები. მათ ყალბათ გაგონილი აქვსთ რთული და სადავო მოძღვრების ინაარსი, უნდათ ცხოვრება აანგრიონ იმ იმედით, რომ უკეთესს წესწყობილებას ეღირსებიან.

ასეთი ელემენტი საქართველოში იმდენათ ვერ შეჯგუფდებოდა, რომ საგულისხმო არეულობა მოეხდინა და სახელმწიფო განსაცდელში ჩაეგდო, მაგრამ ეს ელემენტი, საწუხაროთ, ხელსაყრელი მასალა შეიქნა ჩვენი ქვეყნის მტრებისთვის, რომელნიც ხელოვნურათ სარგებლობენ შემთხვევით და ჩვენს მთავრობას უსვენ ამ გაბოლშევიკებულ ელემენტს.

გაბოლშევიკებული ქართველი ხალხის შვილებს გვერდში ამოუდგენ ბნელი ძალები და ამხედრებენ ჩვენი მთავრობის წინააღმდეგ ამით განზრახულია საქართველოს დასუსტება, ეკონომიურათ განადგურება და დასავლეთ ევროპის თვალში მისი სახელისა და ავტორიტეტის დაცემა.

ბოლშევიზმი ჩვენში უნიადაგოა, ის აქ ფეხს ვერ მოიკიდებს, მაგრამ სამწუხარო ისაა, რომ დღეს ჩვენი მთავრობის უკმაყოფილო ელემენტები აქა იქ არიან და ისინი შესაძლოა მათ შეუერთდენ

სულ სხვაა ბოლშევიზმი და სულ სხვაა მიზეზი ჩვენი ხალხის უკმაყოფილებისა, მაგრამ ბოროტი ძალები ამით ისარგებლებენ და აქიდან ისეთი გაუგებრობა დაიბადება, რომ ხალხი ვეღარ გაერკვევა და ისეთ ნაბიჯს გადასდგამს, რომელიც ჩვენს სამშობლოს დაღუპავს. ხალხმა არ იცის დღევანდელი ჩვენი პოლიტიკური განსაცდელი; ხალხმა არ იცის როდის და როგორ გამოსთქვას თავისი უკმაყოფილება, ხალხმა არ იცის მოძრაობის ტაქტი და ამიტომ უნებლიეთ შეიძლება ჩაიდინოს ის რასაც სულ მალე თვით ხალხი ინანებს, მაგრამ გვიან იქნება.

დღევანდელ მოძრაობაში ხალხის გაუგებრობა და მასთან ყოველივე მარკხის გაუთვალისწინებლობა დიდ ზიანს მოუტანს სახელმწიფოს.

ამიტომ საჭიროა მთავრობამ დღევანდელი გამოსვლები **მარტო ბოლშევიკების პოლიტიკურ ნაბიჯებათ** არ ჩასვალოს. ბოლშევიკები უნდა დავაცილოთ ხალხს. უცხოელი მტრები, ჩუმათ ხალხში მოწანწალე, უნდა მოვაშოროთ ყველას და ნამეტურ გაბოლშევიკებულ ხალხს, რომელსაც უფრო ადვილათ შეაცდენს ვინემ სხვას.

ჩვენი პოლიტიკური მტრები—ჩვენი ქვეყნიდან უნდა წავიდენ. მართალია დღეს ეს ადვილი არ არის; მაგრამ იმ განსაცდელში ჩავარდნას, რომელსაც ისინი გვიმზადებენ, იმ ნაბიჯის გადადგმა სჯობს, რომლითაც ისინი აქიდან გაძევდებიან. მათი მოშორება საქმეს კაგვიადვილებს და შინაურ უთანხმოებას უკეთ მოვსპობთ.

მთავრობამ კარგათ უნდა გაითვალისწინოს ხალხის უკმაყოფილების მიზეზები და მას შესაფერი პასუხი გასცეს.

დღევანდელ მართვა გამგეობაში ბევრი არა კეთილ საიმედო პირი გაერია. მათი მოქმედება ხალხს ძალზე აწუხებს და ეს გარემოება ხალხში მეტათ ცუდ ლაპარაკს ბილებას ქმნის. მთავრობის ძალა უფლებით აღჭურვილი ზოგიერთი პირები ხალხის საზარალოდ შემაწუხებელნი აღმოჩდენ. ზოგიერთი პარტიული მუშა სამსახურში მავნებელი გამოდგა. პარტიის წინაშე დამსახურებული მართვაგამგეობაში ზოგან სრულებითაც არ გამოდგა. ასეთმა შემთხვევებმა ხალხი შეაწუხა და გული გაუტეხა.

ამიტომაც ყოველი მთავრობის პირი ჩაფიქრდეს, ყველა, ვისაც გარემოებით ასე იყო თუ ისე მართვა გამგეობა დაეკისრა, მოვალეა თავისი დანიშნულება შეიგნოს.

ჩვენდა საუბედუროთ, წელს ცუდი წელიწადია, და ხალხს შიმშილი ჰოელის. ეს მეტათ ხელის შემშლელი გარემოებაა.

რევოლუციის დროს **სიმშილს** ყოველთვის **ორკეცი ზარალი** მოუტანია. მთავრობა უნდა ეცადოს ეს სახელმწიფოებრივი გაჭირვება თავიდან აიცილოს და ხალხი განსაცდელიდან გამოიყვანოს, რომ ამით უკმაყოფილების ნიადაგი რამდენათმე შეკირდეს და შესუსტდეს. ხალხი ხედავს, რომ ეს სიმშილი **მარტო** ამიდისა და შემთხვევით ბრალი არ არის, მოუსავლობას ხელი შეუწყო სიძვირემ, ნაჩქარევი რეფორმის ცხოვრებაში უხეიროთ გატარებამ, მუშა ხელის სიმცირემ, ვაჭრობა მრეწველობის შეზღუდვამ, მოხელეთა არა წესიერმა მოქმედებამ, სოფლის მეურნეობის უყურადღებოთ დატოვებამ და სხვა.

ამიტომ მთავრობამ უნდა გადასდგას გაბედული ნაბიჯი და სურსათის მომარაგებისათვის შექმნას საი-

ვეფხვის ტყაოსნის იდეა და ფორმა.

(დასასრული. იხილე „ჩვენი ქვეყანა“ № 201)

ამ ნიადაგზე წარმოიშვა რომანტიულ-ეპიკური მოთხრობა, რომელიც უგალობებს ზენაარულს, კეთილშობილ სიყვარულს, ყოველისავე ლირწებისა და ეროტიზმისაგან თავისუფალს, ძმისთვის თავდადებას, ქალისა და კაცის თანასწორობას, თავისუფლებას, სამართლიანობას და მამაცობას და გამოხატავს მაშასადამე ქართულს ეროვნულ-ისტორიულ სულს, ხასიათს, კულტურასა და ზნეჩვეულებას.

იმავე დროს „ვეფხისტყაოსნის“ მიუწდომელი ხელოვნური ღირსება: მოძრაობის შეუდარებელი გამომხატველობა და მკვეთრი, ძლიერი, კეთილხმოვანი და წყობილი ლექსი მსმენელს აღაფრთოვანებს, საგმიროდ აქეზებს, აკეთილშობილებს და ზნეობრივად აამაღლებს.

დასასრულ არ შემიძლია არ შეეხო ერთ საკითხს.

უკანასკნელ დროს გამოითქვა აზრი, ვითომ „ვეფხისტყაოსნის“ ერთი ნაწილი ერთს ავტორს დაეწეროსო (ძეცამეტე საუკუნეში), მეორე ნაწილი კი—სხვას (მეთუთხმეტე საუკუნის დამდეგს)

ეს—დაუჯერებელია.

ჯერ ერთი, „ვეფხისტყაოსანი“ მთლიანი ნაწარმოებია, რომელიც პოემის-გმირთა ინტერესების შეჯახების მიერ გამოწვეული მოქმედების თანმიმდევნებითს განვითარებასა და ზრდას წარმოადგენს.

„ძნელი წარმოსადგენია—ამბობს ი. აბულაძე—სპარსულ ლიტერატურაში ისეთი ნაწარმოები, რომელიც შეედრებოდეს ამ მხრით „ვეფხისტყაოსანს“.

იმავე დროს ლექსთა წყობა და სიკეთე, მოძრაობის მკვეთრად გამოხატვა და აზრის სადად და ლამაზად გამოთქმა ერთიდაიგივეა ყველა თავში.

ი. აბულაძის მიერ 1914 წ. გამოცემული „ვეფხისტყაოსანი“ 172 გვერდამდის, არ იცი რომელ ადგილს დაუთმო უპირატესობა. ზოგიერთი ადგილი წინა ნაწილში სჯობს, ზოგიერთი—ბოლო ნაწილში. და ქაჯეთის ციხის აღებისა და ნესტან-დარეჯანის განთავისუფლების ამბავი, რომელსაც 171-172 გვერდები უჭირავს, ხელოვნური მხრით ხომ შეუდარებელია, შედევრია.

დარჩა, მაშასადამე, „ვეფხის ტყაოსნის“ ბოლო 173 გვერდიდან 194 გვერდამდის, ე. ი. სულ 21 გვერდი, რომელიც ხელოვნური ღირსებით მკირეოდენად ჩამოუვარდება უმთავრესს, წინა ნაწილს. და შეიძლება ითქვას: სულაც რომ არა ყოფილიყო ეს ბოლო „ვეფხის ტყაოსანს“ სრულიადაც არა დაკლდებოდა რა.

მაგრამ ეს კიდევ არ ამტკიცებს, რომ ეს ბოლოც რუსთველის კალამს არ ეკუთვნის. განა გიოტეს ფაუსტის მეორე ნაწილი ხელოვნური ღირსებით პირველ ნაწილზე უფრო მდარე არ არის? განა დანტეს ღვთიური კომედიის მეორე და მესამე ნაწილები პირველ ნაწილს შეედრებიან? განა ღვთაებრივ ჰომეროსსაც, როგორც ამბობენ, ხანდახან არა სძინავს? დიაღ! პოეტის ნიჭი რომ ყოველთვის თანასწორ შემოქმედებითს ნაყოფიერობას ვერ იჩენს, ჩვეულებრივი მოვლენაა და სრულიადაც არ არის საკვირველი, რომ „ვეფხის ტყაოსანშიაც ამასვე ვხედავთ.

მაგრამ ვიტყვით რუსთველისავე სიტყვებით:

„ვარდი თუ დასჭკნეს, ეგრეცა
გვმართებს რაზომცა ჯერობა:
მისივე მეტობს ყოველსა
სული და ტურფა ფერობა,
და მთვარეს მცხრალსა ვარსკვ-
ლავთან
ვითომცა ჰკადრა მტერობა!“

ამგვარადვე „ვეფხის ტყაოსნის“ ბოლო ნაწილის შედარებით უფრო მდარე ლექსებს სხვის კარგი ლექსებიც კი ძლივს მისწვდებიან.

იმავე დროს ხსენებული ნაწილი რუსთველისებური ლექსების ხასიათს არა ჰკარგავს და ბევრს ხელისხელ საგრგძნებელ მარგალიტს შეიკავს.

განა შეეძლო ვისმე სხვას დაეწერა, მაგალითად ეს მშვენიერი ლექსი? (180 გვ.)

„დია მძულს მეტი მოყვრისა
შიში, კრძალვა და რიდობა,
მძულს გაუწყვეტლად კუშტობა
და სულმძიმობა, დიდობა;
თუ მოყვარეა გულისა,
ქმნას ჩემკენ მონაზიდობა

მედო გეგმაც და სანდო აპარატიც, თორემ ამხედრებული ბოლშევიკების იარაღით დამარცხება საბოლოოდ არ იკმარებს.

იარაღი სულიერ უთანხმოებას ვერ მოსპობს. სამართლიანობას ტყვია წამალი ვერ ამყარებს. ფიზიკური ძალა ზნეობრივ საწმინდეს არ იძლევა. ხალხის დასაწყნარებლათ და დასამშვიდებლათ საჭიროა გონიერი მოქმედება. **მახვილი მხოლოდ გონიერის ხელშია საიმედო იარაღი...**

ტრიფონ ჯაფარიძე.

რუსეთი

საქართველოში საქონლის გატანის აკრძალვა.

გაზ. „პრიაზ. კრაი“ გიორგობისთვის 1-ლის თარიღით იუწყება: ჩრდილო კავკასიის მთავარსარდალმა აკრძალა საქონლის გაზიდვა საქართველოში შეუსრულებლობა ამ ბრძანებისა მიჩნეული იქნება როგორც ღალატი, და ამისათვის დამნაშავე სასტიკად დაისჯება.

გომელი. კიევის თეთრ გვარდიელთა **გაზ. „ობიედინენიეს“** ცნობით აჯანყებული პოლტავას სამი მხრით შემოერტყენ. ბრძოლა აჯანყებულებთან გრძელდება. ამავე გაზეთის ცნობით კიევ პოლტავას შორის რკინის გზით მიმოსვლა შესწყდა აჯანყებულებებთან ბრძოლის გამო. ეკატერინოსლავი აჯანყებულთა ხელშია.

გომელი. სარწმუნო წყაროებიდან იუწყებიან, რომ წითელ აჯანყებულებმა, რომელნიც დენიკინის ზურგს უკან მოქმედობდენ, ეკატერინოსლავი დაიჭირეს.

გომელი. რეკ. სამ. საბჭოს წევრი იუწყება, დენიკინის უკან დახევის დროს ჩერნიგოვი სრულიად განადგურებულია. დუქნები და მაღაზიები დანგრეულ გაძარცულია,

მოსკოვი. ქრისტიანია, ნოემბრ. 3. უკანასკნელ ხანებში ლიონოზოვის მთავრობის და გენ. იუდენიჩის შორის უთანხმოებაა. იუდენიჩის კრიტიკული მდგომარეობა ძლიერდება კიდევ მით, რომ გელსინგფორსში მყოფ რუსებს არ სურთ ის მობილიზაციის წესი აასრულონ, რომელიც იუდენიჩმა გამოაცხადა.

გერმანია.

რუსეთის ბოლშევიკები გერმანიის კომუნისტებს ფულით ეხმარებიან.

ბერლინის დასავლეთ უბანში, ჩხრეკის დროს აღმოაჩინეს კომუნისტური პარტიის ბიუროში რევოლიუციონური ორგანიზაციები. მაკლენბურგში კომუნისტების კრება აღმოაჩინეს, სადაც იპოვეს კომუნისტების პარტიის მოქმედების პროგრამა. პროგრამის მე-15 მუხლში პირდაპირ არის ნათქვამი, რომ თუ გერმანიაში კომუნისტური გამოსვლები მოხდა ფინანსიური და მატერიალური დახმარება რუსეთიდან ექნებათო. **გაზ. „ფორვერტს“**-ი აღელვებულია იმ ანტი-სოციალური პროგრამით და თვითეულ მუხლს უწოდებს ბოროტმოქმედებას გერმანიის მუშათა კლასის წინააღმდეგ. გაზეთი განსაკუთრებით აღნიშნავს, რომ კომუნისტების ხელმძღვანელმა სამიკიტნოს ლიტერატორეს უფრო ჰგვანან, ვიდრე განათლებულ სოციალისტებს.

მაკენზენის განთავისუფლება.

ვინაიდან მოხუცებული და დაავადმყოფებული ფერდმარშალი მაკენზენი აქამომდე სალონიკში იყო დატყვევებული უკვე განთავისუფლდა და სამშობლოში დაბრუნების ნება მისცეს.

(ს. დ. ს.)

გერმანიის მთავრობის საპროტესტო ნოტა

გერმანიის მთავრობამ გაგზავნა პარიზში საპროტესტო ნოტა იმის გამო, რომ ჯერაც არ ანთავისუფლებენ იმ გერმანიის სამხედრო ტყვეებს, რომელიც საფრანგეთში იმყოფებიან, მაშინ როდესაც სხვა სახელმწიფოები უკვე გზავნიან ტყვეებს სამშობლოში ან გასაგზავნად ამზადებენ. ნოტაში განსაკუთრებით აღნიშნულია, რომ საზავო ხელშეკრულების რატიფიკაციამდის გერმანია ყოველ ღონეს ხმარობდა ხელშეკრულების მძიმე პირობები აესრულებია.

გერმანიის ჯარში.

გერმანიის სახელმწიფო თავდაცვის მინისტრმა და გერმანიის მთავარ სარდალმა ისევ დაამტკიცეს თავის განკარგულება რომელიც უკრძალავს: 1) გერმანიის ჯარის ნაწილებს ჩაეწერონ რუსების სამსახურში 2) გერმანიის ნაწილების მიერ რუსეთის არმიისთვის რეკრუტის დაგროვებას, 3) რუს სამხედრო ტყვეებში რეკრუტის დაგროვებას, 4) გერმანიის ჯარის მონაწილეობას რუსის ჯარისთვის მასალის მოწოდების საქმეში.

შეერთებული მუშაობის განახლების მომხრე გერმანიაში აღმოჩნდა 29,210 კაცი, ხოლო წინააღმდეგი 35,677.

ინგლისი.

ლლოიდ-ჯორჯი ოსმალეთისა და რუსეთის შესახებ.

ლონდონში გამართულ ნადიმზე ლლოიდ-ჯორჯმა განაცხადა: ჯერ კიდევ მოსალოდნელია გამწვავება სახელმწიფოთა შორის ზოგიერთა საკითხთა გადაჭრის დროს. ოსმალეთის საქმეთა მოსაგვარებლად საჭიროა სრული შეთანხმება მოკავშირეთა. შაკზღვაზე გასავლელი გზები ერთგვარად საჭიროა ყველა სახელმწიფოებისათვის. ყველა ნიშნები იმას მოწმობენ, რომ რუსეთის სამოქალაქო ომი ხანგრძლივ იწარმოებს. განათლებულ კაცობრიობას არ შეუძლია გულ დამშვიდებით უცქიროს რუსეთის ქაოტიურ მდგომარეობას. ბოლშევიზმი არ შეიძლება იარაღით მოისპოს, მას სხვა საშუალებით უნდა ვებრძოლოთ.

ამერიკული პრესის ცნობები.

პირველ საკითხთაგანი, რომელიც უნდა განიხილოს ხალხთა ლიგამ, არის ჩინეთის საკითხი. ჩინეთი მოითხოვს არა მარტო იაპონელების მიერ შანდუნის დაბრუნებას, არამედ მთელი იმპერიის სუვერენიტეტის აღდგენას, ჩინეთი მოითხოვს თავის სუვერენიტეტს, როგორც ყველა სხვა სახელმწიფო და სამაგიეროთ უცხოელების დაცვის პირობას იძლევა. ჩინეთი დაჟინებით მოითხოვს, რომ ის არ არის ველური ერი და თვით შესძლებს თავისი საქმეების გაძღოლას.

ახალი ამბავი

წირვა და პანაშვიდი. კვირას შესრულდება ნახევარი წელიწადი კირილე ბეჟანისძე ლორთქიფანიძის გარდაცვალების დღიდან. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება, რომლის საპატივო წევრიც იყო განსვენებული გარდაიხდის წირვასა ცა პანაშვიდს არქიელის გორაზე, ყოფილ საკათედრო ტაძარში. წირვა დაიწყება 10 საათზე.

მშობელთა წრის დაარსება. კვირას გაბრიელის სახელობის ქალთა გიმნაზიის დარბაზში დანიშნულია მშობლების კრება მშობელთა წრის დასაარსებლათ; კრება დაიწყება ნაშუადღევის 5 საათზე.

ანტისანიტარობა. ძველი თბილისის ქუჩის დასაწყისში 5 დღეა რაც მკვდარი ძაღლი აგდია, საჭიროა ასეთ უზრუნველობას სისუფთავის დასაცავათ ყურადღება მიექცეს ვისგანაც ჯერ—არს.

გაზეთების დახურვა. შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით დახურეს თბილის რუსულიის გაზეთები „სოციალ-დემოკრატ“ და „ზნამია რევოლიუციი.“ მიზეზი საქართველოს წინააღმდეგ სიტემატიური აგიტაციაა.

თეატრი. დღეს ქალაქის თეატრში წარმოდგენილ იქნება „ურიელ-აკოსტა.— ხვალ „აღლუმი“.

ყაჩაღის შეპყრობა. ზუგდიდის მაზრის კომისარი ადმინისტრაციის ინსპექტორის თანაშემწეს ატყობინებს რომ გადავარდნილი ყაჩაღი დგებუაძე გამოცხადდა.

ტყიბულის რაიონის მასწავლებელთა საყურადღებოთ. 25 ნოემბერს ხრესილში დანიშნულია ფილიალის წევრთა საზოგადო კრება. ვინც წევრათ აქამდე არ ჩაწერილა მას სთხოვენ დაჩქარონ ჩაწერა.

პატარა ფელეტონი

(პოეტი ივანე მუშა).

ეს სათაური ქუთათურებს უთუოთ მოაგონებს გოგია მუშას, რომელსაც 1905—1906 წლებში თან ატარებდნენ პროპაგანდისტები, კურტან ზურგზე წამოდებულს.

აი, სადიდებელი მშრომელი, მრჩენელი ქვეყნისაო.

გოგიამ იფიქრა, სწორეთ გავმეფდიო და გადაისროლა კურტანი.

მაინც არ იყო მუყაითი მუშა, თორემ პროპაგანდისტებს უკან არ აედევნებოდა.

ამბობენ მოკვდაო.

არ ვიცი. იქნებ დიდი თანამდებობა მიიღო თბილისში. მე თბილისში ველარ დავიარები. რომ შევხდე, მაინც რაღას ვიცნობ „ვადიდკაცებულ გოგიას“

ნიერესი განსახიერებაა, სიბრძნისა და აღმომჩენფარე სიცოცხლის გამომხატველი, მხნე მქნელი, აღმაფრენის წარმომშობი და განმაკეთილშობილებელი, რომლის ღრმა იდეას სავსებით შეესაბამება სრულ-ქნილი ფორმა.

მაშასადამე ქართველმა ერმა დაამტკიცა, რომ შეუძლია წარმოშვას,—როდესაც თავისუფალია,—გენიოსი, რომლის მნიშვნელობა ეროვნულ ფარგალს სცილდება,

და უეჭველია: თუ ხელს არ შეუშლიან და დააცლიან, იგი კვლავ ჩაებმება საერთაშორისო კულტურულ განმანათლებელი მუშაობის ფერხულში.

ოღონდ კი ნუ იქნება დამონებული და დაჩაგრული!

და იმ სახელმწიფოთ, რომელთა ხელშიაკ მსოფლიოს ბედის გადაწყვეტის უფლებაა, განა შეუძლიათ არ აღიარონ რუსთველის სამშობლოს დამოუკიდებლობა?!

არ შეუძლიათ არ აღიარონ!

ვასილ წერეთელი.

და თვარე მე ჩემდა, ის მისდა,
დია სჯობს კიდის-კიდობა“.

აი აზრის მოკლედ, სადად დალამაზად გ მოთქმის ნიმუში (გვ 185 წ.): „მაშინ ლხინი ამო არის, რა გარდიხდის კაცი ჭირსა.“

რაც შეეხება მოძრაობას რუსთველისებურად გამოხატვას, ამის მაგალითი ბოლო ნაწილშიაც მრავალია, მაგრამ ვფიქრობ: თხზულების ბოლოც რომ რუსთველის „გენიის შემოქმედების ნაყოფია, ამის დასამტკიცებლად ნათქვამიც კმარა.

ამგვარად „ვეფხის ტყაოსანი“ საქართველოს ძველი კულტურისა და განათლების უმშვენვალეს განსახიერებას წარმოადგენს და, უეჭველია. თამარ დიდის მეფობის ხანას ეკუთვნის, ვინაიდან ჯერ ერთი, ეს დრო საქართველოს პოლიტიკურისა და სამხედრო ძლიერების ხანა იყო და, მეორე, ეფრემ მცირისა და იოანე პეტრიწის, შავთელისა და ჩახრუხაძის შემდეგ უთუოდ უნდა წარმოშობილიყო ერის სულიერი საუნჯის შემკრებელი ხელოვნური ნაწარმოები.

დიაღ! „ვეფხის ტყაოსანი“—ქართული გენიის შემოქმედების უმშვენ-

ინგლისი.

ლლოიდ-ჯორჯი ოსმალეთისა და რუსეთის შესახებ.

ლონდონში გამართულ ნადიმზე ლლოიდ-ჯორჯმა განაცხადა: ჯერ კიდევ მოსალოდნელია გამწვავება სახელმწიფოთა შორის ზოგიერთა საკითხთა გადაჭრის დროს. ოსმალეთის საქმეთა მოსაგვარებლად საჭიროა სრული შეთანხმება მოკავშირეთა. შაკზღვაზე გასავლელი გზები ერთგვარად საჭიროა ყველა სახელმწიფოებისათვის. ყველა ნიშნები იმას მოწმობენ, რომ რუსეთის სამოქალაქო ომი ხანგრძლივ იწარმოებს. განათლებულ კაცობრიობას არ შეუძლია გულ დამშვიდებით უცქიროს რუსეთის ქაოტიურ მდგომარეობას. ბოლშევიზმი არ შეიძლება იარაღით მოისპოს, მას სხვა საშუალებით უნდა ვებრძოლოთ.

ამერიკული პრესის ცნობები.

პირველ საკითხთაგანი, რომელიც უნდა განიხილოს ხალხთა ლიგამ, არის ჩინეთის საკითხი. ჩინეთი მოითხოვს არა მარტო იაპონელების მიერ შანდუნის დაბრუნებას, არამედ მთელი იმპერიის სუვერენიტეტის აღდგენას, ჩინეთი მოითხოვს თავის სუვერენიტეტს, როგორც ყველა სხვა სახელმწიფო და სამაგიეროთ უცხოელების დაცვის პირობას იძლევა. ჩინეთი დაჟინებით მოითხოვს, რომ ის არ არის ველური ერი და თვით შესძლებს თავისი საქმეების გაძღოლას.

ივანე მუშა სხვა ტიპის არის. ჩაფს (ის წყალის მზიდველია) ის არას გზით არ შეელევა. ჩაფი, რომ წყალით ივსება, ივანე შეყვარებულის თვალით შესცქერის და როდესაც ჩაფი უკანასკნელათ ავსების დროს, ჩაიბუტბუტებს, ივანე მხიარულად შესძახებს:

„აგრე, ჰოო“, ასწევს სიფრთხილით და გაიდგამს მხარზე.

ცნობები მაქვს, რომ ივანე მუშა ს. დ. პარტიის წევრი არის. დიდს და გულმხურვალე მონაწილობას ღებულობდა 1916 წელში ალიხანოვიდან დევნილი პირების დაფარვაში.

ერთს ლტოლვილს ძალიან უხრიკა. არა, არ გაუცია. ამას ივანე არას გზით არ იზამს. ივანეს წყალი ქონდა საზიდავი. იანვრის ყინვები იდგა. თვითონ „პლიტასთან“ თბილ ცეცხლს მოუჯდა და სოციალისტს ჩაცვა მაზარა და წყალი ათრაქვინა „ვერ გიცნობენო“

თუ ასე კრიჭაში არ მიიგდე, თურმე მუშათა პარტიის პროპაგანდისტები ძლიერ გაურბიან მუშაობას.

ბევრია მავნეთა რიცხვი,
მე კი ორი სულიერი ვიცი,
რომ სცხოვრობენ ენის სანსალით,
არა სხვა რამე მასალით:
პროპაგანდისტი და გველი...
დასწყევლოს მათი ხერელი!

მეორე მუშა მეგონა უფრო უტყუარი, რომ ივანე მუშათა პარტიის არის, მაგრამ, რომ ვკითხე, რატომ მაინც და მაინც № 1 აძლევ ხმასთქო, მან მიპასუხა, „აბა რიღაცი პირველია, თუ უკეთესი არ არისო“.

გამოდის, რომ არ აქვს სრული შეგნება, თუ რატომ ემხრობა № 1.

ამბობენ, რომ ს.-დ. პარტიას ასეთი შეუგნებელი მომხრე მეტი ყავსო.....

„ვისაც რა ერჩიოს სთქვასო,
„ჩვენმა წისქვილმა ფქვასო“.

სათავეში ხომ კი მოექცენ ის კაცები, დიკტატურა ხომ ჩაიგდეს ხელში, ძალა და სამართალი ხომ მათ ხელშია ..... რაც გინდა, ის ილაპარაკე.

ნიშნებია ისეთი, რომ ივანე ს. დ. პარტიის არ არის.

ერთხელ ნამდვილათ ურჩია, რომ მოსულიყო მისგან გადარჩენილი ლტოლვილთან, რომელმაც დიდი ადგილი მიიღო და ეთხოვნა პატარა თანამდებობა.

ქვა ააგდო და თავი შეუშვირა: „ღმერთმა ნუ მომცეს, რაც არ შემფერისო!“

გაბედულება აკლია ივანეს, სოციალისტური გაბედულება. სოციალისტებისათვის არ დაწერილა: „тяжела ты, шапка мономаха“!

წყნარმა არისტიდმა თავის მორიგეობაზე უმფროსობა ფემისტოკლეს დაუთმოო, სასაცინო ზღაპრათ მიაჩნიათ.

ჩემი პარტია, ესრეთ წოდებული ნაციონალ დემოკრატია ანუ ეროვნულ დემოკრატიული პარტია სრული დარწმუნებულია, რომ ევოლიუციონურის წესით ჩვენ სათავეში მოვექცევით.

პარტიის დისციპლინა თხოვილობს და მჯერა, მაგრამ დე სტ. მილლმა რომ სთქვა

учрежденія не ростутъ, когда люди спятъ, ალარ გავამძრიო ხელი?!

მე ჩვენს პარტიასაც უცხადებ და მენშევიკებსაც, რომ მიჩერებული ვარ ივანეს. როდესაც № 1 ბედი და უბედურება ივანეს კენჭზე მიაწევს, და ეს მალე იქნება, რადგან ყოველივე წარმავალია, მაშინ ივანეს ჩემსკენ გადმოვიყვან.

მე არ ვიბ[illegible]ვი მახვილით ვიარაცა ქრისტიანი, არც იმედი მაქვს გაზეთის (ხომ მიახურეს „საქართველო“) მე იმ[illegible] მაქვს ივანესი.

უმფრო აშკარათ რომ მოგახსენოთ, მე იმედი მაქვს თუთუნის.

ივანე მართალი და მოუსყიდველი კაცია, მაგრამ დიდის სიამოვნებით ღებულობს ჩემგან თუთუნს ლექსებში.

ივანეს როცა თუთუნი მეტის მეტათ გაუჭირდება, მაშინ ბოდის და მეკითხება:

„გინდა ჩაიწერო ახალი ლექსი?“

ივანე ეშმაკი იმერელია, არ ამბობს, რომ თუთუნი უნდა.

ვაძლევ. რალა გამეწყობა. მაგრამ ხშირათ „ძველ“ ლექსებს შამომაპარებს.

ივანეზე დიდი კაცები კადრულობენ „ძველის“ „ახლათ“ შამოპარებას.

გადაგდეს პოლიცია,
დააყენეს მილიცია,—
განსხვავება ვინ იცია?

დავაბოლოვოთ ივანე, მუშა პოეტის, ბიოგრაფია მით, რომ წლოვანებით გაბაშვილის ვირის კბილა არის და დაიბადა ლეჩხუმში, დედით სვანის შთამომავალია, ამიტომ ჭამაში იმას ვერავინ ვერ დასძალავს.

აწ მაინც რომ მიიწვევდენ იკანეს იმ სადღლებზე, რომელსაც სამხღვარ გარეთლებს უკეთებენ დიპლომატიურის მოსაზრებით, ერთი ივანე შესჭამს იმდენს, რამოდენსაც მასპინძლები და სტუმრები ყველა ერიად

ეს ძლიერ გააკვირვებს ევროპელებს და ხელს შეუწყობს საქართველოს დამოუკიდებლობის ერთ ხმათ აღიარებას.

კალისტატე ჩიკვაიძე.

(შემდეგი იქნება)

კორესპონდენცია.

წამებაა, მაშ რა არის? ამ წლის აგვისტოს პირველ რიცხვებში ვთხოვეთ ადგილობრივ მთავრობას, რომ ჩვენდამო რწმუნებულ გელათის მონასტრის ტყეში, (რომელიც მთავრობამ ჩამოართვა მონასტერს და მის მაგიერ კი არაფერი მიუცია), მოგვეჭრა საზამთროდ შეშა, ვინაიდგან, მონასტერს უსახსრობის გამო შეშის ყიდვა არ შეუძლია, ორი თვე გავიდა, და პასუხი არ გვაღირსეს: არც მოგვცეს ნება, არც გვითხრეს უარი; როცა მივაკითხეთ, მარკები მოგვთხოვეს, მარკები წარუდგინეთ, მაგრამ პასუხი მაინც ვერ მივიღეთ; დაიწყო წამება. შემოდგომა მიიწურა, ზამთარი კარებზე მოგვადგა და გვაფიქრა, გადავწყვიტეთ: დეპეშით სამინისტროს მივმართოთ, იქნებ შეგვწყნარონ და ჩვენ ტყეში შეშა მოგვაჭრევინონთქო. გადაწყვეტილება სისრულეში მოვიყვანეთ: სამინისტროში დეპეშა გავგზავნეთ, მისი შინაარსი დაახლოვებით ეგეთი იყო: ღმერთს მიხედეთ, ნუ გვწამებთ, ყოფილ ჩვენ ტყეში შეშის მოჭრის ნება მოგვეცით უბაჟოდ, რადგან ბერებს არ ჯამაგირი აქვსთ და არც სხვა შემოსავალი, ადგილ მამული ჩამოგვართვით და მაგიერი არა მოგიციათ რა, ზამთარი მოახლოვებულ არს დასხ. ჩვენ დეპეშაზე თუმც დაგვიანებით მაგრამ სამინისტრომ პასუხი მაინც გვაღირსა,—მოგვწერა: ნახევარი ბაჟი უნდა გადიხადოთ და თუ ტყე არ გაფუჭდებაო, ნება გეძლევათ შეშის მოჭრისაო, ცნობებისთვის და ფასების გამოსარკვევად მიმართეთ ადგილობრივ მთავრობასო“ ადგილობრივი მთავრობა შეკითხვია ტყის მცველს, ტყე გაფუჭდება თუ არაო.

წამება გრძელდება, ტყისმცველმა მოახსენა მთავრობას: „ტყე ბევრია მონასტრისსეული, მიეცით ნება მოჭრანო. მოგვთხოვეს ბაჟი: თითო საჟენ შეშაში უნდა გადიხადოთ სამოც სამოცი მანეთი ბაჟიო და რადგან ნახევარი უპატიებია სამინისტროს თითო საჟენზე უნდა შამოიტანოთ სამსამი თუმანი და 10% ფულიო, (ეს ვერ გავიგე კარგად, რა არის), მეტი რა ღონე იყო, მაშინვე გადავეცით ფული. მოგვცეს ნებართვა, გვეგონა: ხვალ დავაწყებინებთ შეშის ჭრას და ზამთრის მოსვლას მოვასწრებთო. მაგრამ მოვტყულდით.

უმფროსი ტყისმცველს მთავრობისთვის უთქვამს: „ხეები თუ არ დავბეჭდეთ, ისე არ შეიძლება მოჭრაო“. გამოგვეცხადა ახალი განკარგულება: არ დაიწყოთ ჭრა ხეების დაბეჭდვამდიო. ჩვენ მოახსენეთ: გამოგზავნეთ კაცი და დაბეჭდვინეთ ხეებითქო.— ბეჭედი აჯამეთში დაგვრჩაო, იყო პასუხი. უყურეთ დღეს, ხვალ, ერთ კვირას, ორ კვირას, არ იყო პასუხი. მესამე კვირას მოთმინების ძაფი გაწყდა და მრვინდომეთ შეშის ჭრის დაწყება, მაგრამ ტყისმცველმა ნება არ მოგვცა ეხლა ალარ ვიციო, მოვესწრებით ხეების დაბეჭდვას თუ არა. ექვსას სამოცი მანეთი და 50 კ: ბაჟი გადაგვხდა, მარკები დეპეშა და მისვლა მოსვლის ხარჯები სხვაა. თითო საჟენის მოჭრა მოტანაში უნდა მივსცეთ ხუთას ხუთასი მანეთი, და ყოველივე ამას გარდა ცდა, ლოდინი და წამება სხვა არის და როდის ვეღირსებით შეშას კიდევ არ ვიციო. წამებაა, მაშ რა არის?!

მე ვფიქრობ, საქართველოს სხვა მონასტრებსაც ეს დღე ადგია. ჩვენი მთავრობა [illegible] ყურადღებას— გვაქცევდენ ეს [illegible] ... საერო მთავრობა სრულიად არ დაგვეძებს. მიწები წაგვართვეს, ტყეები ჩამოგვართვეს, წისქვილები მიითვისეს, ყველას ამას რომ უკვირდები და მასზედ დაფიქრდები, თავი სიზმარში გონია კაცს აღიმაღლეთ ყველამ ხმა, და გამოსთქვით თქვენი ტკივილები. მონასტრები ან სრულიად მოსპონ, ან მოუარონ.

მონასტრებს რომ მამულები ჩამოართვეს, რომლითაც ინახებოდა მონასტრები და მათში მკვიდრნი, რა მიხცეს მაგიერად?! რით უნდა იარსებოს მონასტრებმა?! რამდენი ღერი შეშა დაგვჭირდება, ყოველთვის ტყის მცველს უნდა ვეველოთ?! ამაზედ კარგი დაფიქრება მართებს როგორც სასულიერო ეკრეთვე საერობო მთავრობას.

მაყურებელი

თეატრი და ხელოვნება

„გადაჭრილი მუხა“

„გადაჭრილი მუხა“ არც ახალი პიესა არის, მაგრამ ქუთაისის სცენაზე იშვიათად იდგმება. „გადაჭრილი მუხა“ სიმბოლოა განაწამები ადამიანის ყოფაცხოვრების. ის ასლია ძველი საქართველოსი, და ცოტა-დენი შესწორებით რესპუბლიკისაც. უმთავრესი გმირი ნიკო - ქართველი თავადია, მასში შალიკაშვილმა ჩააქსოვა ქართველი ერი. ნიკო სიყმაწვილეში ბრწყინვალე თავადი, ეს აყვავებული საქართველოა, მაგრამ ხანგრძლივი არ არის ეს მისი არც სულიერი და არც მატერიალური ბრწყინვალება. ნიკო ცოლად შეუფერებელ ტომის ქალს ირთავს, მას ნიკო ღალატობს, ქორწინებაში მან ვერ ნახა სიამოვნება. მას შეუყვარდება სხვა ვინმე, და არც მასთან ტრფობაა ხანგრძლივი. ნიკოს საყვარელი ღალატობს. ეს სულიერი ტანჯვაა. ნიკოს სამსახურიდან ითხოვენ—ესეც მარკხია მატერიალური.

ნიკოს სახლი ეწვის, და ერთად ერთი მამაპაპეული ნაანდერძევი მუხა გადაეჭრეს. ეს დიდი ტანჯვაა, ეს ტანჯვაა საქართველოსი, გადაჭრილი მუხა, დამონებული საქართველოა, მაგრამ ნიკოს აიმედებენ, მუხა არ გახმება მას ნედლი ფესვები აქვს და კვლავ გაიხარებს.

დიახ მუხამ გაიხარა, გაიხარა სასიქადულოთ, თუმც კვლავ უპირებენ გადაჩეხას, მაგრამ მე მრწამს რომ ქართველი ერი დარაჯათ დაუდგება და არამც, თუ გადაჭრას, თავს დასდებენ და ფოთლებსაც არავის დაანებებენ.

შესრულების მხრივ პიესა მშვენიერი იყო.

ბაჭუა.

რედაქტორი — სარედაქციო კოლეგია.

ტამბა ნ. ფეიერაძის და ამხ. ქუთაისში, მიხაილოვის ქუჩა, ბოკიევოვის სახლი.